

## 5. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

5.1 ტურნირი ჩატარდება ჯერ ჯგუფურ, ხოლო ფინალურ ეტაპზე ოლიმპიური სისტემით.

## 6. მსაჯობა

- 6.1 თფფ-ს მიერ ჩატარებულ საფეხბურთო ტურნირს მოემსახურებიან თფფ-ს სამსაჯო განყოფილების მიერ დანიშნული მსაჯები და მათი მომსახურების ხარჯებს ანაზღაურებს თფფ;
- 6.2 მსაჯი ვალდებულია, შეჯიბრების ტექნიკურ ოქმში აღნიშნოს მოთამაშეთა გაფრთხილებისა და მინდვრიდან გაძევების შემთხვევები დროის ჩვენებით და დანაშაულის ზუსტი განსაზღვრით;
- 6.3 მსაჯი ვალდებულია თამაშის დამთავრებისთანავე თფფ-ს აცნობოს თამაშის შედეგი;
- 6.4 მსაჯი ვალდებულია გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გაგამოუცხადებლობა გააფორმოს თამაშის ოქმში, რომლის შესახებაც უნდა აცნობოს თფფ-ს.
- 6.5 ფეხბურთელის შეცვლა ნებადართულია მოედნის ცენტრიდან, როდესაც ბურთი თამაშში არ არის.

## 7. საჩივრის შეტანის წესი

7.1 გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია საჩივრის შემთხვევაში გააფრთხილოს მატჩის დამთავრებისთანავე მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

## 8. სადისციპლინო სანქციები

8.1 გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი.

## 9. ფინანსები

9.1 ჩამოსული სტუმრების დაბინავების და კვების ხარჯებს იღებს კლუბი.

## 10. დაჯილდოება

”მომავლის თასის” გამარჯვებული და საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან თასებით, დიპლომებითა და მედლებით.